(საოპერაციო ნომერი 50271)

**სასესხო შეთანხმება**

**ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა**

**საქართველოსა**

**და**

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის**

დათარიღებული 2019 წლის 11 ოქტომბერი

სარჩევი

მუხლი I სტანდარტული ვადები და პირობები; განმარტებები ........ 3
ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების გათვალისწინება ........ 3
ნაწილი 1.02. განმარტებები ........ 4
ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია ........ 6

მუხლი II - სესხის ძირითადი პირობები ........ 6
ნაწილი 2.01. თანხა და ვალუტა ........ 6
ნაწილი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები ........ 6
ნაწილი 2.03. სესხის თანხის ჩამორიცხვა ........ 7

მუხლი III - პროექტის განხორციელება ........ 7
ნაწილი 3.01. პროექტის სხვა მტკიცებითი პირობები ........ 7
ნაწილი 3.02. შესყიდვები ........ 8
ნაწილი 3.03. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულება ........ 8
ნაწილი 3.04. დრონები ........ 9
ნაწილი 3.05. მოხსენების სიხშირე და წარდგენის მოთხოვნები ........ 10

მუხლი IV - ფინანსური შეთანხმებები
ნაწილი 4.01. ფინანსური ჩანაწერები და ანგარიშები ........ 12

მუხლი V - – შეჩერება; აქსელერაცია; გაუქმება; ........ 13
ნაწილი 5.01. შეჩერება ........ 13
ნაწილი 5.02. ძირითადი თანხის აქსელერაცია ........ 13

მუხლი VI - ეფექტურობა ........ 14
ნაწილი 6.01. ეფექტურობის წინაპირობები ........ 14
ნაწილი 6.02. პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები ........ 14
ნაწილი 6.03. იურიდიული დასკვნები ........ 14
ნაწილი 6.04. შეწყვეტა ძალაში შესვლის წარუმატებლობისთვის ........ 14

მუხლი VII სხვადასხვა ........ 14
ნაწილი 7.01. შეტყობინებები ........ 14

განრიგი 1 - პროექტის აღწერა ........ გ 1-1

განრიგი 2 - კატეგორიები და თანხების ჩამორიცხვა ........ გ 2-1

განრიგი 3 - გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა ........ გ 3-1

(საოპერაციო ნომერი 50271)

სასესხო შეთანხმება

ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა

საქართველოსა

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის

დათარიღებული 2019 წლის 11 ოქტომბერი

სარჩევი


მუხლი I სტანდარტული ვადები და პირობები; განმარტებები ....................................................3
ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების გათვალისწინება.......................3
ნაწილი 1.02. განმარტებები..........................................................................................4
ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია.......................................................................................6

მუხლი II - სესხის ძირითადი პირობები......................................................................................6
ნაწილი 2.01. თანხა და ვალუტა ....................................................................................6
ნაწილი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები...........................................................6
ნაწილი 2.03. სესხის თანხის ჩამორიცხვა ....................................................................7

მუხლი III - პროექტის განხორციელება ......................................................................................7
ნაწილი 3.01. პროექტის სხვა მტკიცებითი პირობები ....................................................7
ნაწილი 3.02. შესყიდვები ...............................................................................................8
ნაწილი 3.03. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულება.........8
ნაწილი 3.04. დრონები ...................................................................................................9
ნაწილი 3.05. მოხსენების სიხშირე და წარდგენის მოთხოვნები ...................................10

მუხლი IV - ფინანსური შეთანხმებები
ნაწილი 4.01. ფინანსური ჩანაწერები და ანგარიშები .................................................12

მუხლი V - – შეჩერება; აქსელერაცია; გაუქმება; .........................................................................13
ნაწილი 5.01. შეჩერება...................................................................................................13
ნაწილი 5.02. ძირითადი თანხის აქსელერაცია.............................................................13

მუხლი VI - ეფექტურობა ..............................................................................................................14
ნაწილი 6.01. ეფექტურობის წინაპირობები .................................................................14
ნაწილი 6.02. პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები....................................................14
ნაწილი 6.03. იურიდიული დასკვნები ..........................................................................14
ნაწილი 6.04. შეწყვეტა ძალაში შესვლის წარუმატებლობისთვის...............................14

მუხლი VII სხვადასხვა ..................................................................................................................14
ნაწილი 7.01. შეტყობინებები .........................................................................................14

განრიგი 1 - პროექტის აღწერა ................................................................................................ გ 1-1

განრიგი 2 - კატეგორიები და თანხების ჩამორიცხვა ............................................................. გ 2-1

განრიგი 3 - გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა ......................................... გ 3-1

## სასესხო შეთანხმება

2019 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული შეთანხმება საქართველოს („მსესხებელი") და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („ბანკი" ან "EBRD") შორის

## პრეამბულა

ვინაიდან, ბანკი დაფუძნდა საიმისოდ, რომ უზრუნველყოს კონკრეტული პროექტების დაფინანსება გარკვეულ ქვეყნებში ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკებისკენ გადასვლის დასაჩქარებლად და კერძო და სამეწარმეო ინიციატივების ხელშესაწყობად მრავალ პარტიული დემოკრატიის, პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით;

ვინაიდან, მსესხებელი გეგმავს განახორციელოს პირველ განრიგში აღწერილი პროექტი, რომელიც შეიქმნა რათა დაეხმაროს მსესხებელს ცქერე-კობის გვირაბის მშენებლობაში, რომელიც წარმოადგენს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთს და რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ-სამხრეთ საავტომობილო გზის კორიდორზე;

ვინაიდან, მსესხებელმა ითხოვა ბანკისგან დახმარება პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად;

ვინაიდან, ბანკი დათანხმდა გამოეყო თანხები გრანტის სახით, რათა დახმარებოდა მსესხებელს უპილოტო თვითმფრინავების მოსაპოვებლად და შესაბამისი შესაძლებლობების გაზრდისთვის; ექვემდებარება ბანკსა და მსესხებელს შორის ამ შეთანხმებაში მოცემულ დებულებებსა და პირობებს;

ვინაიდან, საქართველო აპირებს აზიის განვითარების ბანკთან („თანადამფინანსებელი") შეთანხმების გაფორმებას 370,238,000 ევროს ოდენობის სესხის გამოსაყოფად, რათა უზრუნველყოს პროექტის ნაწილი ა-ს თანადაფინანსება, ექვემდებარება მსესხებელსა და თანადამფინანსებელს შორის შეთანხმებაში („თანადაფინანსების შეთანხმება") მოცემულ დებულებებსა და პირობებს; და

ვინაიდან, ბანკი თანახმაა, მათ შორის ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გასცეს სესხი მსესხებელზე 53,400,000 ევრომდე მოცულობით წინამდებარე შეთანხმების ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

ამიტომ მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი I - სტანდარტული ვადები და პირობები; განმარტებები

### ნაწილი 1.01. სტანდარტული ვადებისა და პირობების ასახვა

(ა) 2018 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული ბანკის სტანდარტული ვადებისა და პირობების ყველა დებულება ასახულია და გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებაში იმავე ძალით, თითქოს ისინი სრულად იყო მითითებული წინამდებარე შეთანხმებაში, და ექვემდებარება შემდეგ ცვლილებებს (ამგვარად შეცვლილ ასეთ დებულებებს შემდეგში ეწოდებათ „სტანდარტული დებულებები და პირობები"):

(ბ) სტანდარტული დებულებებისა და პირობების ნაწილი 2.02 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

(1) „EBRD-ის შესყიდვის წესები" წაიშალოს მთლიანობაში და ჩაენაცვლოს შემდეგი ტექსტი:

„თანადამფინანსებელის შესყიდვის წესები“ ნიშნავს ADB-ს შესყიდვის რეგულაციებს (2017) რომელიც იცვლება დროდადრო“;

(2) სტანდარტულ დებულებებსა და პირობებში ნებისმიერი მითითება „EBRD-ის შესყიდვის წესებზე“ ჩანაცვლდეს „თანადამფინანსებლის შესყიდვის წესებით“.

ნაწილი 1.02. განმარტებები

როდესაც გამოიყენება წინამდებარე შეთანხმებაში (მათ შორის პრეამბულასა და განრიგებში), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, პრეამბულაში მითითებულ ტერმინებს აქვთ წინამდებარე დოკუმენტში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობები; სტანდარტულ პირობებში და ვადებში განსაზღრულ ტერმინებს აქვთ წინამდებარე დოკუმენტში მათთვის მინიჭებული შესაბამისი მნიშვნელობები და ქვემოთ წარმოდგენილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

| | |
|---|---|
| "ავტორიზაცია" | ნიშნავს ნებისმიერ თანხმობას, რეგისტრაციას, განაცხადს, შეთანხმებას, ნოტარიულად დამოწმებას, სერთიფიკატს, ლიცენზიას, დამტკიცებას, უფლებამოსილებას, ძალაუფლებას ან გათავისუფლებას, ნებისმიერი სამთავრობო უწყების მიერ ან მისი საშუალებით, გაცემული ან შეჩერებული მოქმედებით ან ნებისმიერი განსაზღვრული დროის ფარგლებში მოქმედების შეუსრულებლობის საფუძველზე წარმოქმნილი გაცემული ან შეჩერებული მოქმედებით და ყველა კორპორაციულ, კრედიტორებისა და მეწილეების დამტკიცებებსა და თანხმობებს. |
| "ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა" | ნიშნავს მიზნებისა და სამმართველო ზომების გეგმას, იმისათვის რომ მიღწეული იქნას ბიომრავალფეროვნების არა სუფთა ზარალი/სუფთა მოგება, გამომდინარე იქედან რომ ასეთი გეგმა შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. |
| „მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი" | ნიშნავს მსესხებლის ფინანსთა მინისტრს ან ნებისმიერი სხვა პირი მის მიერ წერილობით დამტკიცებულ პირს. |
| „განსაზღრული საექსპლუატაციო მოთხოვნები" | ნიშნავს 2014 წლის მაისით დათარიღებული საექსპლუატაციო მოთხოვნების და 2014 წლის მაისით დათარიღებული ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ 1-დან 8-ის და 10-ის ჩათვლით საექსპლუატაციო მოთხოვნებს (ან როგორც კონტექსტი მოითხოვს, ნებისმიერ ერთ ასეთ საექსპლუატაციო მოთხოვნას) |
| "აღსრულების პოლიტიკა და პროცედურები" | ნიშნავს 2017 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ ბანკის აღსრულების პოლიტიკას და პროცედურებს. |
| „გარემოსდაცვისა და სოციუალური სამოქმედო გეგმა" | ნიშნავს მსესხებლის მიერ მომზადებულ 2019 წლის 3 მაისით დათარიღებულ გარემოსდაცვისა და სოციალურ გეგმას და გაუმჯობესების საშუალებებს, რომლის ასლიც თანდართულია აღნიშნულ დოკუმენტზე, როგორც |

განრიგი 3, ამგვარი გეგმა შეიძლება შეიცვალოს დროდადრო ბანკის წერილობით თანხმობამდე 3.04 (ვ) მუხლის შესაბამისად წერილობით თანხმობამდე.

| | |
|---|---|
| „გარემოსდაცვითი და სოციალური კანონი” | ნიშნავს ნებისმიერ კანონს ან რეგულაციას რაც დაკავშირებულია შემდეგთან:<br>(ა) გარემოს დაბინძურებას ან გარემოს დაცვას, მათ შორის მასთან დაკავშირებულ კანონებს და რეგულაციებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ კანონებსა და რეგულაციებს;<br>(ბ) შრომისა და დასაქმებულთა პირობებს;<br>(გ) პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;<br>(დ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება;<br>(ე) მკვიდრი მოსახლეობა;<br>(ვ) კულტურული მემკვიდრეობა; ან<br>(ზ) განსახლება და პირთა ეკონომიკური მდგომარეობის გამო გადაადგილება. |
| „გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები” | ნიშნავს ნებისმიერ საკითხს, რომელიც არის ნებისმიერი გარემოსა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის სფეროს შესახებ კანონმდებლობის, განსაზღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნების ან გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროში სამოქმედო გეგმის საგანი. |
| „ფინანსური წელი” | ნიშნავს მსესხებლის ფინანსურ წელს, რომელიც იწყება თითოეული წლის 1 იანვარს. |
| “სამთავრობო უწყება ” | ნიშნავს მსესხებლის მთავრობას, ან ნებისმიერ პოლიტიკურ ქვედანაყოფს, იქნება ეს სახელმწიფო, რეგიონული თუ ადგილობრივი, და ნებისმიერი სააგენტო, უწყება, განყოფილება, დეპარტამენტი, მარეგულირებელი ორგანო, სასამართლო, ცენტრალური ბანკი ან სხვა უწყება, რომელსაც გააჩნია მთავრობის ან ნებისმიერი ქვედანაყოფის (მათ შორის სახელმწიფოს ზემოთ მდგომი ორგანოები) და ყველა მათი ოფიციალური პირის, აგენტის ან წარმომადგენლის აღმასრულებელი, საკანონმდებლო, იურისდიქციული, საგადასახადო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ძალები ან ფუნქციები. |
| “საგრანტო შეთანხმება” | ნიშნავს ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმებას, სადაც ბანკი უზრუნველყოფს დონორების მიერ დაფინანსებული გრანტის გამოყოფას, რათა ხელი შეუწყოს მსესხებელს უპილოტო თვითმფრინავებისა მოპოვებაში და შესაბამისი შესაძლებლობების გაზრდას. |
| “საგრანტო დაფინანსება” | ნიშნავს, საგრანტო შეთანხმებასთან მიმართებაში, 100,000 ევროს ოდენობის თანხას, რომელიც გამოყოფილი იქნება ასეთი საგრანტო შეთანხმების საფუძველზე. |
| “დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური კონსულტანტი ” | ნიშნავს კონსულტანტს ან კონსულტანტთა ფირმას, რომელსაც ბანკი, თანადამფინანსებელი ან მსესხებელი დროდადრო საჭიროებიდან გამომდინარე შეარჩევს, |

| | |
|---|---|
| | ბანკისათვის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. |
| "მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა " | ნიშნავს პროექტის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმას, რომელიც შესაძლოა დროდადრო შესწორებული იქნას ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. |
| "პროექტის განმახორციელებელი სააგენტო" | ნიშნავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასეთი სამინისტროს ფარგლებში არსებულ სახელმწიფო იურისდიქციული ინსტიტუტის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტით მეშვეობით, ან ნებისმიერი იურიდიული უფლებამონაცვლეთი. |
| "გვირაბის კონტრაქტი " | პროექტის ნაწილ ა-ში აღწერილი სამუშაო კონტრაქტი, ცქერე-კობის გვირაბის 9 კმ-იანი მონაკვეთის და მისადგომი გზის სამშენებლო სამუშაოები . |

ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია

წინამდებარე შეთანხმებაში მითითება კონკრეტულ მუხლზე, ნაწილსა ან განრიგზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული წინამდებარე შეთანხმებაში, უნდა განიმარტოს როგორც წინამდებარე შეთანხმების კონკრეტულ მუხლსა, ან ნაწილსა ან განრიგზე მითითება.

მუხლი II - სესხის ძირითადი პირობები

ნაწილი 2.01.რაოდენობა და ვალუტა

ბანკი თანახმაა ასესხოს მსესხებელს, ამ შეთანხმებაში მოცემულ პირობების მიხედვით, 53,400,000 ევრომდე ოდენობის თანხა.

ნაწილი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები

(ა) ჩამორიცხვის მინიმალური თანხა უნდა იყოს 500,000 ევრო.

(ბ) წინსწრებით გადახდის მინიმალური თანხა უნდა იყოს 1,000,000 ევრო.

(გ) გაუქმების მინიმალური თანხა უნდა იყოს 1,000,000 ევრო.

(დ) საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღები უნდა იყოს თითოეული წლის 20 თებერვალი და 20 აგვისტო.

(ე) (1) მსესხებელმა სესხი უნდა დაფაროს ნახევარწლიურ 28 თანაბარ (ან შეძლებისდაგვარად თანაბარ) ნაწილად საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღებში, სადაც პირველი გადახდის თარიღი არის საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღი, რომელიც ემთხვევა შეთანხმების ხელმოწერის თარიღიდან მეოთხე წლისთავს და ბოლო გადახდის თარიღი არის 2037 წლის 20 აგვისტო.

(2) მიუხედავად ზემოხსენებულისა, იმ შემთხვევაში თუ (i) მსესხებელი არ ჩამორიცხავს სესხის მთლიან თანხას 2.02(ე) ნაწილში მოცემული პირველი სესხის პირველი გადახდის თარიღისთვის, და (ii) ბანკი გააგრძელებს 2.02(ვ) ნაწილში მოცემულ ხელმისაწვდომ თარიღს იმ თარიღამდე, რომელიც გადასცდება პირველი გადახდის თარიღს, მაშინ თითოეული ჩამორიცხვის თანხები, რომელიც განხორციელდა პირველი გადახდის თარიღზე ან მას შემდეგ, უნდა განაწილდეს გადახდისათვის თანაბარ ნაწილებად სესხის გადახდის რამდენიმე თარიღისთვის, რომლებიც ემთხვევა ასეთი ჩამორიცხვის თარიღის შემდგომ პერიოდს (სადაც ბანკი არეგულირებს თანხების განაწილებას მთლიანი რიცხვების მისაღწევად თითოეული შემთხვევის დროს). ბანკი დროდადრო შეატყობინებს მსესხებელს ასეთი თანხის განაწილებების შესახებ.

(ვ) ბოლო ხელმისაწვდომი თარიღი უნდა იყოს შეთანხმების ხელმოწერის მეხუთე წლისთავი, ან შემდგომი თარიღი, რომელსაც ბანკი წინასწარ დაამტკიცებს და მსესხებელს შეატყობინებს.

(ზ) ვალდებულების საკომისიო უნდა იყოს 0.5 % წლიურად.

(თ) სესხი ექვემდებარება ცვლად საპროცენტო განაკვეთს. მიუხედავად ზემოხსენებულისა, მსესხებელს შეუძლია, აირჩიოს სესხის ნაწილის პროცენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გადახდა სტანდარტული ვადებისა და პირობების 3.04(გ) ნაწილის მიხედვით.

ნაწილი 2.03. ჩამორიცხვები

ხელმისაწვდომი თანხა შეიძლება ჩამოირიცხოს დროთა განმავლობაში განრიგი 2-ის პირობების მიხედვით, იმისათვის რომ დაფინანსდეს (1) საქონლის, პროექტისათვის საჭირო სამუშაოებისა და სერვისების ღირებულება და (2) ერთჯერადი ადმინისტრირების გადასახდელი.

## მუხლი III - პროექტის განხორციელება

ნაწილი 3.01. სხვა მტკიცებითი პროექტის შეთანხმებები

სტანდარტული ვადებისა და პირობების მუხლ IV-ში მოცემული ზოგადი ვალდებულებების დამატებით, მსესხებელმა, თუ ბანკი სხვაგვარად არ შეთანხმდება:

(ა) უზრნუველყოს, რომ მიიღოს ყველა საჭირო ზომა ადეკვატური სახსრებისა და სხვა რესურსების, უზრუნველსაყოფად პროექტის დასრულების მიზნით;

(ბ) პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ უზრუნველყოს, რომ სესხის თანხა მოახმაროს მხოლოდ პროექტის განხორციელებას პირველი განრიგის მიხედვით;

(გ) პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ უზრუნველყოს, რომ უხელმძღვანელებს პროექტს საგულდაგულოდ და ეფექტურად, შესანიშნავი საინჟინრო, ფინანსური და ბიზნეს პრაქტიკების, შესაბამისი კანონებთან, გარემოსთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და მისაღებ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკებთან შესაბამისად;

(დ) უზრუნველყოს, რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტები გაუწევენ ზედამხედველობას პროექტის ზოგად განხორციელებასა და მის მართვას დროულად და ეფექტურად;

(ე) მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა თანადაფინანსების შეთანხმება შევა ძალაში არაუგვიანეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღამდე ან რომელიმე სხვა თარიღზე, რომელსაც ბანკი მიიღებს წერილობით;

(ვ) მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საგრანტო შეთანხმება გახდეს ეფექტური ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 180 კალენდრული დღისა ან რომელიმე სხვა თარიღზე, რომელსაც ბანკი მიიღებს წერილობით;

(ზ) უზრუნველყოს რომ პროექტთან დაკავშირებული საგზაო უსაფრთხოების რეკომენდაციები შესული იყოს დიზაინის დოკუმენტაციაში; და

(თ) უზრუნველყოს რომ პროექტთან დაკავშირებული კლიმატური მოქნილობის ზომები შესული იქნება დიზაინის დოკუმენტაციაში.

ნაწილი 3.02. შესყიდვა

სტანდარტული დებულებებისა და პირობების 4.03 ნაწილის მიზნით, შემდგომმა პირობებმა უნდა, თუ ბანკთან სხვაგვარად არაა შეთანხმებული, არეგულიროს პროექტისთვის საჭირო საქონლის, სამუშაოებისა და სერვისების გამოსყიდვა და დაფინანსდეს სესხის თანხიდან:

(ა) პროექტის ნაწილი ა-სთვის საქონელი, სამუშაოები და მომსახურება შეძენილი უნდა იქნეს ღია ტენდერის საშუალებით და თანადამფინანსებლის შესყიდვის წესების თანახმად; და

(ბ) EBRD-ის აღსრულების პოლიტიკისა და პროცედურების თანახმად, EBRD-ის შავი სიაში (available at http://www.ebrd.com/ineligible-entities.html) მყოფი უწყება:

(1) ვერ მოიპოვებს ბანკის დაფინანსებას;

(2) არ იქნება არჩეული მიმწოდებლობლად, კონტრაქტორად ან კონსულტანტად თუ საქმიანობა არის, მთლიანობაში ან ნაწილობრივ, დაფინანსებული ან შესაძლოა დაფინანსდეს ბანკის მეშვეობით; ან

(3) არ იქნება შერჩეული მიმწოდებლის, კონტრაქტორის ან კონსულტანტის ქვემიმწოდებლად, ქვეკონტრაქტორად ან ქვეკონსულტანტად თუ საქმიანობა არის, მთლიანობაში ან ნაწილობრივ, დაფინანსებული ან შესაძლოა დაფინანსდეს ბანკის მეშვეობით.

ნაწილი 3.03. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულება

სტანდარტული ვადებისა და პირობების 4.02(ა), 4.04(ა)(iii), და 5.02(გ)(iii) ნაწილების მთლიანობის შეზღუდვის გარეშე, და თუ ბანკი სხვაგვარად არ შეათანხმებს:

(ა) თუ სხვაგვარად არ არის მითითებული გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში, მსესხებელმა პროექტის განმახორციელებელი ორგანოს მეშვეობით უნდა უზრუნველყოს რომ პროექტში ჩართულმა ნებისმიერმა კონტრაქტორმა განახორციელოს თავისი საპროექტო ვალდებულებები განსაზღვრული ნებისმიერმასაექსპლუატაციო მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და სოციალური კანონების და ყველა შესაბამისი გარემოსდაცვითი დაშვებების, ლიცენზიების, სერთიფიკატებისა და თანხმობების მიხედვით;

(ბ) ზემოთ აღნიშნულის შეზღუდვის გარეშე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ საფუძვლიანად განახორციელოს ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმა, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა და დააკვირდეს ასეთი გეგმებს განხორციელებას გეგმებში მითითებული მონიტორინგის დებულებების შესაბამისად.

(გ) პროექტის დასასრულამდე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს (1) პროექტის საგზაო უსაფრთხოების აუდიტი პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ შერჩეული ბანკისათვის მისაღებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, (2) რომ ასეთი აუდიტის შედეგები გაგზავნილი იქნება ბანკში და (3) თუ მისაღებია, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმები და გამოსწორებითი ზომები.

(დ) პროექტის მშენებლობის განმავლობაში (როდესაც მთავარი სამუშაო ძალა მობილიზებულია და მშენებლობის პიკის პერიოდში) მსესხებელმა ორჯერ უნდა უზრუნველყოს (1) პროექტის სამუშაო ძალის აუდიტი პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ შერჩეული ბანკისათვის მისაღებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, (2) რომ ასეთი აუდიტის შედეგები გაგზავნილი იქნება ბანკში და (3) თუ მისაღებია, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმები და გამოსწორებითი ზომები.

(ე) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმა განხორციელებულია და დამტკიცებულია აუდიტის საფუძველზე, სანამ კონტრაქტორს ექნება წვდომა შესაბამის ადგილებზე.

(ვ) მსესხებელსა და ბანკს შეუძლიათ დროდადრო დათანხმდნენ ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმის და ასევე ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის ცვლილებაზე საპროექტო გარემოებებში ცვლილების, გაუთვალისწინებელი მოვლენების და მონიტორინგის შედეგების, მათ შორის აუდიტის შედეგების საპასუხოდ, ზემოთ აღნიშნულის შეზღუდვის გარეშე,

(1) თუ არსებობს რაიმე უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური გავლენა ან საკითხი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში მთლიანად ან მის ნაწილთან დაკავშირებით,

(2) თუ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში მითითებული რომელიმე ზეგავლენის შემცირების ღონისძიება გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში მითითებულ ვადაში შესაბამის განსაზღვრულ საექსპლუატაციო მოთხოვნაში მითითებულ დონეებამდე საკმარისი არ არის რომელიმე გარემოსდაცვითი ან სოციალური ზეგავლენის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად, ან

(3) თუ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ან გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხთან კანონმდებლობასთან დაკავშირებით რაიმე შეუსაბამობა გამოვლინდება რომელიმე მარეგულირებელი ან სამართალდამცავი ორგანოების ან სხვა აუდიტის მიერ შემოწმების შედეგად რომელიც ჩატარებულია ნაწილი 3.03(გ)-ს შესაბამისად,

მსესხებელმა, რაც შეიძლება გონივრულად და ბანკის თანხმობის საფუძველზე, განავითაროს და ჩართოს ეკოლოგიურ და სოციალურ გეგმაში ისეთი დამატებითი ან შემოწმებული შემცირების ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს განსაზღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნების შესასრულებლად, თითოეულ შემთხვევაში ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი წესით.

**ნაწილი 3.04. დრონები**

თუ ბანკი სხვაგვარად არ მოითხოვს, მსესხებელმა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მეშვეობით:

(ა) 2021 წლის 31 დეკემბრამდე შეიძინოს უპილოტო თვითმფრინავები და უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების და მათი საშუალებით მონაცემების მოპოვების მიზნით მოამზადოს 5 თანამშრომელი;

(ბ) 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოამზადოს უპილოტო თვითმფრინავები (i) მსხვილი საგზაო ინციდენტების საჰაერო გამოკვლევა და (ii) ხიდისა და გვირაბის შესამოწმებლად; და

(გ) თითოეული წლის 31 მარტამდე, უპილოტო თვითმფრინავების გამოყენებიდან 3.04(ა) ნაწილში მოცემულ 2026 წლის ჩათვლით, წარმოადგინოს წლიური ანგარიში ბანკისათვის მისაღები ფორმით, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების შესახებ.

## ნაწილი 3.05. მოხსენების სიხშირე და წარდგენის მოთხოვნები

(ა) ბალაში შესვლის თარიღიდან დაწყებული სესხის სრული თანხის გადახდამდე ან გაუქმებამდე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო წარუდგენს ბანკს წლიური ანგარიშს ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება მსესხებელთან ან პროექტთან დაკავშირებით წლის დასრულების შემდეგ 90 დღის განმავლობაში. ასეთი ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე:

(1) ინფორმაცია მსესხებლის მიერ განსაზღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნების შესრულების შესახებ როგორც ეს აღწერილია 3.03(ა) ნაწილში და ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმის და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში;

(2) ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ შეამოწმა მსესხებელმა და პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ პროექტთან დაკავშირებით დაქირავებული კონტრაქტორის მიერ განსაზღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნებისა და ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმის შესრულება და ასეთი კონტრაქტორის მიერ განსაზღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნების და ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმის შეუსრულებელი მოთხოვნების ჩამონათვალი და ნებისმიერი ღონისძიების ჩამონათვალი, რომლებიც განხორციელდა ასეთი შეუსრულებლობის გამოსასწორებლად;

(3) ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების ურთიერთმოქმედების გეგმის განხორციელების შესახებ, რომელიც მოთხოვნილია განსაღვრული საექსპლუატაციო მოთხოვნა 10-ით, მათ შორის ნებისმიერი მიღებული საჩივარის ჩამონათვალი და როგორც მოხდა ასეთი საჩივრების მოგვარება;

(4) ინფორმაცია მსესხებლის მიერ პროექტთან დაკავშირებით ეკოლოგიური და სოციალური საკითხების შესრულების შესახებ, მათ შორის მსესხებლის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიმართულებით წამოწყებული ნებისმიერი მოთხოვნის, სარჩელის, ბრძანების ან გამოძიების აღწერა, პროექტისათვის საჭირო ნებისმიერი უფლებამოსილების სტატუსი, მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები, ნებისმიერი შესაბამისი კანონის, რეგულაციის ან სტანდარტების დარღვევა და ასეთ დარღვევასთან მიმართებაში ნებისმიერი აღმოფხვრა ან ჯარიმა, არსებული შეტყობინებების დასკვნები, პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ანგარიში და სხვა კომუნიკაცია, რომელიც მიწოდებულია მსესხებელის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოსათვის და ნებისმიერ სხვა გარემოებას რომელიც წარმოშობილია მსესხებელის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით;

(5) ინფორმაცია შრომის ჰიგიენის და უსაფრთხოების მართვის, და პროექტთან დაკავშირებით შორმის ჰიგიენისა და უსაფრთხოების ჩანაწერების შესახებ, მათ შორის უბედური შემთხვევის, დაკარგული დროის, მსესხებლის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ნებისმიერი პრევენციული ან შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების საკითხებში ნებისმიერი პერონალის ტრენინგის და სხვა სახის ინიციატივის შესახებ, რომელიც უკავშირდება შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების მართვას და რომლებიც განხორციელდა ან რომლებიც იგეგმება მსესხებლის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ;

(6) გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობაში ნებისმიერი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროექტზე;

(7) გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხების შესახებ ინფორმაციების ასლები, რომელსაც მსესხებელი ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტო პერიოდულად წარუდგენს თავის მეწილეებს ან საზოგადოებას;

(ბ) ძალაში შესვლის თარიღიდან დაწყებული, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო წარმოადგენს სტანდარტული ვადებისა და პირობების 4.04(ა)(v) პუნქტში მითითებულ პროექტის პროგრესის ანგარიშებს ნახევარწლიურად, პერიოდის დასრულებიდან 45 დღის განმავლობაში, სანამ პროექტი მთლიანად არ დასრულდება. ასეთი ანგარიშები უნდა მოიცავდეს შემდეგ კონკრეტულ მახასიათებლებს:

(1) შემდეგი ზოგადი სახის ინფორმაცია:

(ა) პროექტის განხორციელების მიმდინარეობა, ანგარიშის წარდგენის თარიღამდე ან ანგარიშგების პერიოდში;

(ბ) პროექტის განხორციელებაში ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სირთულეები ან დაგვიანებები და მათი გავლენა განხორციელების განრიგზე, და სირთულეების დასაძლევად და დაგვიანებების თავიდან ასაცილებლად ფაქტობრივად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები;

(გ) პროექტის დასრულების თარიღში მოსალოდნელი ცვლილებები;

(დ) ძირითადი ცვლილებები პროექტის განმახორციელებელი ერთეულის, ან კონტრაქტორების პერსონალში;

(ე) საკითხები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის ხარჯებზე; და

(ვ) ნებისმიერი საქმინაობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე.

(2) ფინანსური ანგარიშები, რომლებშიც დეტალურად არის წარმოდგენილი პროექტის თითოეული ნაწილის შესაბამისად წარმოქნილი დანახარჯები და ტრანშები, ანგარიშთან ერთად, რომელიც აჩვენებს:

(ა) თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვას;

(ბ) შესწორებულ ხარჯთაღრიცხვას, თუკი არის, ცვლილებების მიზეზების მითითებით;

(გ) თავდაპირველ შეფასებულ დანახარჯებს და ფაქტობრივ დანახარჯებს აღნიშნული თარიღისთვის;

(დ) დღემდე თავდაპირველი შეფასებული დანახარჯების ფაქტობრივი დანხარჯების ცვლილებების მიზეზებს; და

(ე) წლის დარჩენილი კვარტლებისთვის შეფასებულ ანგარიშებს.

(3) ამ ხელშეკრულებაში არსებული დებულებების ერთმანეთთან შესაბამისობის სტატუსის მოკლე განცხადება.

(4) გარემოსდაცვითი მართვის გეგმების გარემოსდაცვითი მონიტორიგნის ანგარიშები და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განხორციელების სოციალური მართვის ანგარიშები.

(გ) მსესხებელთან ან პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევისთანავე, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობასა ან

უსაფრთხოებაზე, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო გაუზავნის ბანკს შეტყობინებას ფაქსით, რომელშიც მითითებული იქნება ასეთი შემთხვევის ხასიათი და ის ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს მსესხებელი ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მათი გამოსწორების მიზნით. ზემოაღნიშნულისთვის ზიანის მიყენების გარეშე,

(1) პროექტთან დაკავშირებული ინციდენტი ან შემთხვევა, რომელიც მოხდა პროექტთან დაკავშირებულ რომელიმე მონაკვეთზე ან გამოიწვია პროექტთან დაკავშირებულმა მოწყობილობამ, აღჭურვილობამ ან ავტოტრანსპორტმა (იყენებენ თუ არა პროექტის რომელიმე საიტზე და იყენებენ თუ არა უფლებამოსილ ან უნებართვო პირებს);

(2) ინციდენტი ან შემთხვევა მიიჩნევა რომ ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, საზოგადოებრივ ჯანრთელობასა ან უსაფრთხოებაზე თუ:

(ა) რომელიმე მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს, ასეთი შემთხვევის შესახებ სახელისუფლებო ორგანოს აცნობოს,

(ბ) ასეთ ინციდენტს ან შემთხვევას მოყვება ნებისმიერი ადამიანის ფატალურ შედეგს (მიუხედავად იმისა დასაქმებულია თუ არა ეს ადამიანი მსესხებლის მიერ),

(გ) ერთზე მეტმა ადამიანმა (მიუხედავად იმისა დასაქმებულია თუ არა ეს ადამიანი მსესხებლის მიერ) მიიღო სერიოზული ჭრილობა, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, ან

(დ) ასეთი ინციდენტი ან შემთხვევა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მედიის საშუალებით ან სხვაგვარად.

(დ) მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს ნებისმიერი მნიშნველოვანი პროტესტის ან პეტიციის შესახებ თანამშრომლის ან საზოგადოების წევრის მიერ ან თუ დაკავშირებულია მსესხებელთან, პროექტის განმახორციელებელ სააგენტოსთან ან პროექტთან, რასაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოყვეს მსესხებელზე, პროექტის განმახორციელებელ სააგენტოზე ან პროექტზე, რომელიც მოსალოდნელია რომ გახდეს საჯაროდ ცნობილი მედია საშუალებების მეშვეობით. ასეთი შეტყობინებიდან ათი დღის განმავლობაში მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მოამზადებს ბანკისათვის მისაღებ ანგარიშს, რომელშიც მოხსენიებულია მსესხებლის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ ამ პროტესტის გამომიების შედეგი და სხვა მსესხებლის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ნაბიჯები სადავო საკითხების აღმოსაფხვრელად, რომლებიც პროტესტის ან პეტიციის დროს გაჩნდა.

## მუხლი IV - ფინანსური შეთანხმებები

### ნაწილი 4.01. ფინანსური ჩანაწერები და ანგარიშები

(ა) მსესხებელმა უნდა, მსესხებლის შესაბამისი დეპარტამენტის ან ორგანოს მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე ან მისი ნებისმიერი წარმომადგენელი შეასრულოს შესაბამისი პროცედურები, შეინახოს ჩანაწერები და ანგარიშები, იმისთვის რომ ასახოს საერთაშორისოდ აღიარებული თანმიმდევრულად გამოყენებული სტანდარტები, პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები, რესურსები და დანახარჯები, მოახდინოს მონიტორინგი და ჩაიწეროს პროექტის პროგრესი (მათ შორის მისი ღირებულებები და მისგან გამომდინარე სარგებელი).

(ბ) მსესხებელმა უნდა:

(1) 4.01 ნაწილში მოხსენიებული ჩანაწერები და ანგარიშები იქონიოს თითოეული ფისკალური წლისთვის სანამ არ დასრულდება პროექტი, რომელიც შემოწმებულია ბანკისათვის მისაღები დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ საერთაშორისოდ მიღებული აუდიტინგის პრინციპებისა და სტანდარტების მიხედვით;

(2) მიაწოდოს ბანკს, რაც შეიძლება მალე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი ფისკალური წლის დასრულებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, ამგვარი აუდიტის დასკვნის ამგვარი აუდიტორების მიერ ისეთი მოცულობის და ისეთი დეტალების შესახებ, როგორსაც ბანკი შეუძლია გონივრულად მოითხოვოს; და

(3) წარუდგინოს ბანკს ისეთი სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ასეთ ჩანაწერებსა და ანგარიშებს, როგორსაც ბანკი დროთა განმავლობაში მოითხოვს საჭიროებისამებრს.

## მუხლი V - შეჩერება; აქსელერაცია; გაუქმება;

### ნაწილი 5.01. შეჩერება

შედგომი დაზუსტებულია სტანდარტული ვადებისა და პირობების 7.01(ა)(xvii) ნაწილისთვის:

(ა) მსესხებლის ტერიტორიაზე საგზაო სექტორისთვის მისაღები საკანონმდებლო და მარეგულირებელი სტრუქტურა უნდა გამოსწორდეს, შეჩერდეს, გაუქმდეს, ანულირდეს ან უარი ეთქვას, გარდა ბანკის მიერ წერილობით დადასტურების გზით ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტომ განახორციელოს პროექტი ან შეასრულოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მსესხებლის ნებისმიერი ვალდებულება, გარდა ბანკის მიერ დამტკიცებული წერილებისა; და

(ბ) მსესხებელი ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვერ შეასრულებს თანადამფინანსებლის შესყიდვის გეგმების პროექტთან დაკავშირებულ პირობებს ან თანადაფინანსების შეთანხმება იქნება შეჩერებული.

(გ) მსესხებელმა საგრანტო შეთანხმების ფარგლებში არსებული თავისი ვალდებულებები ვერ შეასრულა ან სტანდარტული დებულებებისა და პირობების 7.01(ა)(x) პუნქტში მოცემული ნებისმიერი საგრანტო შეთანხმებასთან დაკავშირებული მოვლენა მოხდა.

### ნაწილი 5.02 ძირითადი თანხის აქსელერაცია

შემდგომი დაზუსტებულია სტანდარტული დებულებებისა და პირობების 7.06(ვ) ნაწილის მიზნებისთვის: 5.01 ნაწილში მოცემული ნებისმიერი მოვლენა განხორციელდა და გრძელდება მისი შემამსუბუქებელი მოქმედებები არ წამოწყებულა გარეშე ბანკის მიერ მსესხებლისთვის მიცემული შენიშვნიდან 30 დღის განმავლობაში.

სახელდობრ შემთხვევა, რომელიც დაზუსტებულია ნაწილ 5.01-ში, უნდა მომხდარიყო და გაგრძელებულიყო, იმ პირობით რომ მსესხებლის მიერ შემამსუბუქებელი მოქმედებები არ არის წამოწყებული ბანკის მიერ მსესხებლისთვის მიცემული შენიშვნიდან 30 დღის განმავლობაში.

## მუხლი VI - ეფექტურობა ნაწილი 6.01.

### ეფექტურობის წინაპირობები

შემდგომი დაზუსტებულია სტანდარტული ვადებისა და პირობების 9.02(გ) ნაწილის როგორც ამ შეთანხმების ეფექტურობის დამატებითი პირობები:

(ა) თანადაფინანსების შეთახმება ხელმოწერილია და მისი ძალაში შესვლისათვის ან მსესხებლისათვის ჩამორიცხვის უფლებამოსილების მინიჭებისათვის ყველა წინაპირობა შესრულებულია.

### ნაწილი 6.02. პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები

შემდგომი დებულებები წარმოადგენს დამატებით წინაპირობებს ამ შეთანხმების ფარგლებში პირველი ჩამორიცხვის განხორციელებისათვის:

(ა) მსესხებელმა, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მეშვეობით, წერილობით უნდა აცნობოს ბანკს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მთავარი პერსონალის შესახებ, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მენეჯმენტს, მონიტორინგს და შეაფასებს პროექტის განხორციელების ყველა ასპექტს, მათ შორის საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვას. პროექტი; და

(ბ) პროექტის მართვისა და მშენებლობის საზედამხედველო კონსულტანტი, თანადაფინანსების შეთანხმების ფარგლებში, დანიშნულია.

### ნაწილი 6.03. იურიდიული დასკვნა

სტანდარტული ვადებისა და პირობების 9.03(ა) ნაწილისთვის დასკვნა ან დასკვნები უნდა გაიცეს მსესხებლის სახელით იუსტიციის მინისტრის მიერ.

### ნაწილი 6.04. შეწყვეტა ძალაში შესვლის წარუმატებლობისთვის

თარიღი შეთანხმების თარიღიდან 180 დღის შემდეგ განსაზღვრულია სტანდარტული ვადებისა და პირობების 9.04 ნაწილისთვის.

## მუხლი VII - სხვადასხვა ნაწილი 7.01.

### შეტყობინებები

სტანდარტული ვადებისა და პირობების 10.01 პუნქტთან დაკავშირებით მითითებულია შემდეგი მისამართები:

მსესხებლისთვის: საქართველო
ფინანსთა სამინისტრო გორგასლის
ქუჩა N16
ქ. თბილისი 0114

ვის: სახელმწიფო ვალის დეპარტამენტი
ფაქსი : ++995 32 226-2423

ბანკისთვის:
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
One Exchange მოედანი ლონდონი
EC2A 2JN გაერთიანებული სამეფო

ვის: საოპერაციო მართვის დეპარტამენტი ფაქსი:
+44-20-7338-6100

აღნიშნულის დასტურად, წინამდებარე შეთანხმება მხარეებმა, რომელბიც მოქმედებენ მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით, გააფორმეს წინამდებარე შეთანხმება, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს სამ ეგზემპლიარად და წარმოდგენილი უნდა იქნას თბილისი, საქართველო ზემოთ პირველად მითითებულ დღესა და წელს.

**საქართველო**

______________________________

სახელი: ივანე მაჭავარიანი

თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი**

______________________________

სახელი: კატარინა ბიორლინ ჰანსენი

თანამდებობა: რეგიონალური დირექტორი კავკასიაში

# განრიგი 1 - პროექტის აღწერა

1. ამ პროექტის მიზანია მსესხებლის დახმარება ცქერე-კობის გვირაბის, რომელიც წარმოადგენს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთს და მდებარეობის საქართველოს ჩრდილოეთ-სამხრეთ კორიდორზე, მშენებლობის თანადაფინანსების საშუალებით.

2. ეს პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს, როგორც ბანკი და მსესხებელი გადაწყვეტენ დროთა განმავლობაში:

ნაწილი ა: ქვეშეთი-კობის გვირაბის მშენებლობა და გზის სამშენებლო სამუშაოები (გვირაბის კონტრაქტის ფარგლებში).

ნაწილი ბ: დრონები, ტრეინინგები და შესაძლებლობების გაძლიერება (რომელიც დაფინანსდება საგრანტო დაფინანსებით).

3. ამ პროექტის დასრულება მოსალოდნელია ამ შეთანხმების თარიღიდან ექვსი წლის განმავლობაში, მოიცავს დეფექტების აღმოფხვრის პერიოდს, ამ ხელშეკრულებით (პროექტის დასრულება).

## განრიგი 2 - კატეგორიები და ჩამორიცხვები

1. ამ განრიგთან მიბმული ცხრილი ასახავს კატეგორიებს, თითოეულ კატეგორიაზე განაწილებულ თანხას და დანახარჯის პროცენტულობას, რომელიც უნდა დაფინანსდეს თითოეული კატეგორიისთვის.

2. მიუხედევად ზემოაღაღნიშნულ პირველ აბზაცში მოცემულ პირობებისა, დანახარჯებზე ჩამორიცხვები არ უნდა განხორციელდეს სასესხო შეთანხმების თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩამორიცხვები, რომელთა ჯამური თანხა არ აღემატება სესხის 20 პროცენტს, შესაძლებელია განხორციელდეს პირველი კატეგორიისთვის (გვირაბის კონტრაქტი) გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად სასესხო შეთანხმების თარიღამდე, მაგრამ 2019 წლის 9 აგვისტოს შემდეგ.

3. ბანკი უფლებამოსილია ჩამორიცხოს მსესხებლის სახელით და გადაუხადოს თავის თავს ერთჯერადი ადმინისტრირების გადასახდელი.

განრიგი 2-ის დანართი

| კატეგორია | სესხის რაოდენობა, რომელიც უნდა განაწილდეს სესხის ვალუტაში | დანახარჯების პროცენტულობა, რომელიც უნდა დაფინანსდეს |
|---|---|---|
| (1) პროექტის ნაწილი ა-სთვის (გვირაბის კონტრაქტი) | 52,866,000 | კონტრაქტის ღირებულების 100 % ნებისმიერი გადასახადის გამოკლებით |
| (2) ერთჯერადი ადმინისტრაციული გადასახდელი | 534,000 | 100% |
| Total | **53,400,000** | |

განრიგი 3 - გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა - ქვეშეთი-კობის გზა - ლოტი 1- საქართველო

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| PR1 (შესრულების მოთხოვნა) | გარემოზე და სოციალური ზემოქმედების (E&S)[1], და ამასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება და მართვა | | | | | | |
| 1.1 | <u>მონიტორინგი და EBRD-ის წინაშე ანგარიშგება</u><br>1) ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის მომზადება, რომელიც მოიცავს ESAP-ის განხორციელების, EMP-ის და LARP-ის განხორციელების, EHS- ის შესრულების, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე მიმართული აქტივობების და საჩივრების მოგვარების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის აღწერას.<br><br>2) ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშების გარდა, შემდეგი ანგარიშების მომზადება იქნება საჭირო (კონტრაქტორის და ინჟინერის მიერ შეტანილ წვლილზე დაყრდნობით) მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე:<br>- EMP/SEMP-ის განხორციელების ნახევრაწლიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები<br>- ნახევარწლიური სოციალური მონიტორინგის ანგარიშები LARP-ის განხორციელების შესახებ | შესაბამისობა EBRD-ის PR-თან | EBRD-ის PR1 და PR10 | 1)RD<br><br>2) RD (ინჟინერის მიერ მომზადებული ანგარიშები | წლიურ საფუძველზე წარდგენა პროექტის განხორციელების ციკლის განმავლობაში<br><br>ნახევრწლიური ანგარიშები მშენებლობის პროცესში | წლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშის წარდგენა (AESR)<br>მშენებლობის პროცესში ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენა | |
| 1.2 | <u>გარემოსდაცვითი/სოციალური მართვის სისტემები (ESMS)</u><br>პროექტის ჩარჩო ESMS-ის განხორციელება, მათ შორის:<br>ა) გარემოსდაცვითი და სოციალური განაცხადი | გარემოს დაცვის ოპტიმიზაცია ფორმალიზებული | EBRD PR1 | RD (და გარეშე კონსულტანტები, საჭიროების მიხედვით | ა) ბ) და გ) კონტრაქტის ხელმოწერამდე. პუნქტებისთვის | ES პოლიტიკა და საოპერაციო EMP-ები შემუშავებულია. | |

[1] E&S= გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და სოციალური

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | ვადები | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ) ორგანიზაციული სტრუქტურის დეტალები და დიაგრამა<br>გ) კონტრაქტის მართვის პროცესის აღწერა და ცვლილების პროცესის მართვა<br>დ) გარემოსდაცვითი მართვის გეგმები (EMPs)<br>ე) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) საჩივრების განხილვის მექანიზმის ჩათვლით<br>ვ) მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩო (LARF) და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP)<br>ზ) ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP)<br>თ) გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩო (გარემოს მონიტორინგის გეგმის ჩათვლით) | დოკუმენტების გამოყენებით | | | „დ"-დან „ვ"-მდე იხილეთ ქვემოთ | პუნქტებისთვის „დ"-დან „ვ"-მდე დამატებითი დეტალები იხილეთ ქვემოთ | |
| 1.3 | <u>გარემოს დაცვის მართვის კონკრეტულ გეგმები</u> **(SEMPs)** <u>- მშენებლობის ფაზა</u><br>1) EMP-ის (ლოტი 1) მომზადება/განახლება და იმის უზრუნველყოფა, რომ EMP-ის უახლესი ვერსიებია შეტანილი სატენდერო დოკუმენტაციაში და თანდართულია კონტრაქტებზე.<br>2) იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორი (ლოტი 1-ისთვის) ახორციელებს საკუთარ ESMS- ს და კონკრეტული გარემოსდაცვითი მართვის გეგმებს (SEMPs) ან მეთოდის შესახებ განაცხადს, იმის მიხედვით, რომელია შესაბამისი.<br>კონტრაქტორი სავალდებულო SEMP-ებს მოამზადებს ESIA /EMP- ის კრიტერიუმების / რეკომენდაციების შესაბამისად , და ESMP- ი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი საკითხებით:<br>- სამშენებლო ბანაკის გეგმა<br>- სამშენებლო ბანაკის მართვის გეგმა<br>- ნარჩენების მართვის გეგმა<br>- ნიადაგის ზედა ფენის მართვის გეგმა | მშენებლობის პროცესში პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების მინიმიზაცია | EBRD PR1 | 1) RD<br>2) SEMP-ების მომზადება: კონტრაქტორი; SEMP-ების დამტკიცება: RD და ინჟინერი<br>3) კონტრაქტორი მიიღებს RD-სგან და ინჟინერისგან დასტურს | 1) კონტრაქტის ხელმოწერამდე<br>2) კონტრაქტორის ESMS-ი და SEMP-ები წარდგენილი იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სამუშაოების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში და დამტკიცებული იქნება სამუშაოების დაწყებამდე<br>3) დამტკიცება მოხდება | 1) კონტრაქტი ხელმოწერილია და დასრულებული EMP თანდართულია<br>2) კონტრაქტორის ESMS-ი და SEMP-ები წარდგენილია საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის და დამტკიცებული ინჟინერის მიერ | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სა რგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულ თან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობ ები | ვადები | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორც იელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - წყლის და ნარჩენების წყლების მართვის გეგმა<br>- ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა<br>- ხმაურის კონტროლის გეგმა<br>- გვირაბის საამფეთქებლო სამუშაოების გეგმა<br>- სამშენებლო ვიბრაციის მართვის გეგმა<br>- დაღვრის მართვის გეგმა<br>- სატრანსპორტო ნაკადების მართვის გეგმა<br>- კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა<br>- ოკუპაციური და სათემო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა<br>- სამუშაო ძალის და სამუშაო პირობების მართვის გეგმა<br>- ადგილობრივი ვითარების მართვის გეგმა (ადგილობრივი შესყიდვები და ადგილობრივი დასაქმება)<br>- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა<br>- ფუჭი ქანების გატანის გეგმა<br>- მიწისქვეშა წყლების მართვის გეგმა<br>- რეკულტივაციის/მიწის აღდგენის გეგმა<br>- ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა<br>- ასფალტის ქარხნის მართვის გეგმა<br>- ბეტონშემრევი ქარხნის მართვის გეგმა<br>- დროებითი სასაწყობე ადგილების მოწყობის მეთოდის განაცხადი<br>- ქცევის კოდექსი<br>3) იმის უზრუნველყოფა, რომ კონტრაქტორის მიერ მომზადებული SEMP-ები დამტკიცებულია ინჟინერის მიერ მშენებლობის დაწყებამდე. | | | | სამუშაოების დაწყებამდე | | |

| No. | ქმედება | სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | ქვემოთ მითითებულთან | საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.4 | <u>ქვეკონტრაქტორები</u><br>უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ ყველა ქვეკონტრაქტორი იღებს ვალდებულებას შესრულოს კრედიტორების შესაბამისი სტანდარტები და კონტრაქტორების მიერ შემუშავებული ESMS-ის და SEMP-ების (სამშენებლო ფაზის) მოთხოვნები შემდეგი გზით:<br>1) კონტრაქტორების კონტრაქტში შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით;<br>2) ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტში შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით;<br>კონტრაქტორები გააკონტროლებენ ქვეკონტრაქტორების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას. | პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების მინიმიზაცია მთლიანი ქვეკონტრაქტირების მთელი ჯაჭვის მასშტაბით | EBRD PR1 | 1) RD<br>2) კონტრაქტორი | 1)კონტრაქტის ხელმოწერამდე 2) მშენებლობის ეტაპზე | 1) შესაბამისი დებულებებია ასახული კონტრაქტორის კონტრაქტებში, რომლებიც RD-სთან გაფორმდა<br>2) შესაბამისი დებულებებია ასახული ქვე-კონტრაქტორებთან გაფორმებულ კონტრაქტებში და კონტრაქტორების მონიტორინგის ანგარიშებში | |
| 1.5 | <u>ორგანიზაციული შესაძლებლობები</u><br>1) RD მოამზადეს საორგანიზაციო სტრუქტურის ჩარჩო დოკუმენტს EHSS- ისთვის, მათ შორის, განსაზღვრავს RD- ის ფარგლებში როლებსა და პასუხისმგებლობებს, კომუნიკაციის ჩარჩოს (მათ შორის, RD-ს, PIU-ს და კონტრაქტორების) , და ასევე ასახავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერას.<br>2) RD უზრუნველყოფს, რომ მას საკმარისი პერსონალი ჰყავს პროექტის განსახორციელებლად, რომლებსაც E & S-ის სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ადექვატური კომპეტენციები გააჩნიათ.<br>3) RD უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორს მას საკმარისი პერსონალი ჰყავს პროექტის განსახორციელებლად, რომლებსაც E & S-ის სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ადექვატური კომპეტენციები გააჩნიათ.<br>ეს მოიცავს როგორც მინიმუმ, შემდგეს: | მკაფიო და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესები;<br>პროექტის განხორციელების შესაძლებლობა შესაბამის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში | EBRD PR1 | RD | PMS და EPC კონტრაქტის ხელმოწერიდან | 1) ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია და ორგანიზაცია მზადყოფნაშია<br>2) RD- ს თანამშრომლებს შესაბამისი კომპეტენციები გააჩნიათ და შეუძლიათ კონტრაქტორების მართვა<br>3) კონტრაქტორის გუნდი მზადყოფნაშია და სათანადო გამოცდილება გააჩნია | |

| No. | ქმედება | სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | ქვემოთ მითითებულთან | საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - გარემოსდაცვითი და სოციალური ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება SEMP-ის განხორციელებასა და რეგულარულ განახლებაზე, და კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში ზედამხედველობასა და ანგარიშგებაზე (პერსონალის წევრი სრულ განაკვეთზე, სამშენებლო უბანზე უნდა იმყოფებოდეს სულ მცირე კვირაში ხუთი დღე); იგი იქნება კონტრაქტორების ძირითადი საკონტაქტო პირი გარემოსდაცვით, სოციალურ და შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.<br>- სამუშაოების ეკოლოგიური ექსპერტი (ECoW) პასუხისმგებელი იქნება იმის უზრუნველყოფაზე, რომ მშენებლობის დაწყებამდე მომზადებული იქნება ყველა წინასწარი კვლევა, იდენტიფიცირებული იქნება კონკრეტული ეკოლოგიურად სენსიტიური ტერიტორიები, და SEMP-ებში და სხვა მენეჯმენტის გეგმებში გაწერილი შემარბილებელი ღონისძიებების პრაქტიკაში იქნება განხორციელებული;<br>- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტები (მინიმუმ 1 H&S სპეციალისტი ყოველ 50 მუშაკზე), რომელიც პასუხისმგებელი იქნება OHS-ის სფეროში არსებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკის დაცვაზე და სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად SEMP- ის მოთხოვნების შესაბამისად.<br>4) იმის უზრუნველყოფა, რომ ინჟინერს აქვს საკმარისი პერსონალი ჰყავს პროექტის განსახორციელებლად, განსახორციელებლად, რომლებსაც E & S-ის სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ადექვატური კომპეტენციები გააჩნიათ. ეს როგორც მინიუმ, მოიცავს შემდეგს:<br>- ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტი<br>- საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს EMP-ებთან შესაბამისობას. იგი | | | | | 4) საინჟინრო გუნდი მზადყოფნაშია და სათანადო გამოცდილება გააჩნია | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პასუხისმგებელი იქნება BAP-ის სათანადოდ განხორციელებაზე კონტრაქტორის მხარდაჭერით, რომელიც სხვადასხვა კვლევებს განახორციელებს, ეს ექსპერტი პასუხისმგებელი იქნება BMEP-ის შემუშავებაზე (ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა).<br>- ეროვნული სოციალური სპეციალისტი<br>- განსახლების, სოციალური და შრომის საკითხების საერთაშორისო სპეციალისტი. პირი პასუხისმგებელი იქნება პროექტის ყველა განსახლების ასპექტებზე. იგი განახორციელებს მუშაკების სამუშაო ადგილის, განთავსებისა და სამუშაო პირობების აუდიტს.<br>- ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სპეციალისტი.<br>- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ეროვნული სპეციალისტი<br>- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მონიტორი. პირი პასუხისმგებელი იქნება არქეოლოგიური აღმოჩენების აღრიცხვაზე, ადგილზე იქნება უბნის გაწმენდისა და მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში, და უზრუნველყოს არქეოლოგიური აღმოჩენების დროს შესაბამისი პროცედურის დაცვას. | | | | | | |
| 1.6 | <u>სანაყაროების და მისასვლელი გზების გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება</u><br>1) სანაყაროსთვის ტერიტორიის სათანადო შერჩევა და ალტერნატივების ანალიზი, და სანაყაროების და მისასვლელი გზების დაპროექტება ESIA- ში განსაზღვრული წინასწარი მითითებების და რეკომენდაციების შესაბამისად. ეს ადგილები გამოკვლეულ უნდა იქნას და ნებართვა უნდა იყოს მიღებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ შემოთავაზებული სანაყაროს ადგილის | სანაყაროებთან დაკავშირებული ზემოქმედებების მართვა, რადგან სანაყაროები პროექტის ობიექტებთანაა დაკავშირებული. | EBRD PR1 | კონტრაქტორი | სანაყაროების გამოყენებამდე | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან მიღებულია გარემოსდაცვითი ნებართვა.<br>კრედიტორებისთვის წარდგენილია დამატებითი გარემოსდაცვითი | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედეგად არ იქნება გამოწვეული კონკრეტული ეკოლოგიური ან სოციალური ღირებულების მქონე ადგილების დაზიანება. დროებითი (ბანაკი, მიმდებარე ტერიტორია) და მუდმივი (ფუჭი ქანების სანაყაროები) უბნები კონტრაქტორის მიერ განისაზღვრება გზშ-ში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ეს უბნები შეთანხმებულ იქნება MoEPA-სთან და დამტკიცებული კრედიტორების მიერ. სანაყაროები განთავსდება ეროვნული პარკის და ეროვნული პრიორიტეტული ჰაბიტატის ფარგლებს გარეთ.<br>2) ნებისმიერი მოთხოვნილი გარემოსდაცვითი შეფასების (EIA ან სხვა დოკუმენტის) მომზადება ეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების და ფუჭი ქანების სანაყაროების განთავსებისთვის გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად.<br>3) თუ კონტრაქტორი ალტერნატულ უბნებს შეარჩევს (რომლებიც არ არის ასახული ESIA-სა და LARP-ში), კონტრაქტორი უზრუნველყოფს გარემოსდაცვით და სოციალური დოკუმენტაციას ESIA-ის მოთხოვნების შესაბამისად (ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების და პროცედურის ჩარჩო დოკუმენტი). მომზადებული დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ბიომრავალფეროვნების კვლევებს (შესაბამისი სეზონის გათვალისწინებით), სოციალურ საველე კვლევებს და უნდა გაიმართოს დამატებითი კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. | | | | | და სოციალური დოკუმენტაცია.<br>ფუჭი ქანების განთავსების ადგილები დამტკიცებულია კრედიტორების მიერ | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.7 | <u>ნებართვების რეესტრი</u><br>1) RD უზრუნველყოფს, კონტრაქტორი მოამზადებს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა EHSS ნებართვის რეესტრს, რომელიც რეგულარულად განახლდება, მათ შორის, EIA ლიცენზიების (ასევე, ფუჭი ქანების სანაყაროებთან დაკავშირებული ნებართვები), სამშენებლო ნებართვების, წყალაღების, ტყით დაფარულ ტერიტორიებზე ჭრების ჩატარების (საჭიროების შემთხვევაში), ასაფეთქებელი სამუშაოების, ნარჩენების და ჩამდინარე წყლების გატანის/მართვის ლიცენზიების, და სამრეწველო საწარმოების მიერ ემისიების ნებართვების, HS-სთან დაკავშირებული ასპექტების ლიცენზიების, და ინფრასტრუქტურის გადაადგილების ნებართვების ჩათვლით (მაგ. ელექტრომომარაგების ქსელები).<br>2) კონტრაქტორი მოიპოვებს ყველა აუცილებელ ნებართვისა და თანხმობას შესაბამისი ორგანოებისგან, და პროექტის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.<br>3) შესაბამის SEMP-ებში ასახული უნდა იყოს ნებართვებსა და თანხმობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ზომები. | შესაბამისობა ეროვნულ მარეგულირებელ და ნებართვების ჩარჩოსთან. | EBRD PR1 | 1) RD<br>2) კონტრაქტორი<br>3) ინჟინერი | 1) მშენებლობის დაწყებამდე და პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე:<br>2) ეროვნული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად<br>3) როგორც კი ნებართვა გაიცემა | 1) ნებართვების რეესტრი მომზადდა და მუდმივად ხორციელდება მისი განახლება<br>2) გაცემულია შესაბამისი ნებართვები<br>3) განახლებული SEMP-ია მომზადებული | |
| 1.8 | <u>მონიტორინგი (მშენებლობის ფაზა)</u><br>1) შესაბამისი მონიტორინგის გეგმების შემუშავება და განხორციელება შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ზემოქმედების მონიტორინგისთვის, ESIA- ს მოთხოვნების შესაბამისად (განსაკუთრებით გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა). მონიტორინგის გეგმა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი საკითხებით:<br>- ატმოსფერული ჰაერის ხარისხი (PM10, PM2.5, CO, NOx, SO2) | მშენებლობის პროცესში გაზომვადი კომპონენტებისთვისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის ვერიფიკაცია | EBRD PR1 | 1)კონტრაქტორი<br><br>2) ინჟინერი, რომელიც მოითხოვს SEMP-ების გადასინჯვას | მშენებლობის დაწყებამდე.<br>პროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში (მონიტორინგის სიხშირე მითითებულია გეგმებში) | 1) მონიტორინგის გეგმები შემუშავებულია და ეფექტურად ხორციელდება<br>2) სრული EMP სულ მცირე, ყოველწლიურად იქნება გადასინჯული. EMP- ის შესაბამისი | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - დღის და ღამის საათებში ხმაურის დონეები<br>- დღე და ღამე დრო ვიბრაციის დონეზე<br>- ზედაპირული წყლების ხარისხი (სიმღვრივე, pH, გამტარიანობა, ნახშირწყალბადების საერთო შემცველობა ნავთობში, ქიმიურ ჟანგბადზე მოთხოვნა)<br>- ნიადაგის დაჯდომა<br>- მიწისქვეშა წყლების დონე<br>- მცენარეულობა<br>- ბიომრავალფეროვნება<br>მონიტორინგის ეს გეგმები ინტეგრირებული იქნება SEMP- ებში მშენებლობის ფაზაში.<br>2) SEMP-ების გადასინჯვა, თუ მონიტორინგის შედეგები მნიშვნელოვან და/ან მოულოდნელ ზემოქმედებას აჩვენებს. EMP პერიოდულად გადაისინჯება (სულ ცოტა, ყოველწლიურად) გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების შეფასების მიზნით, რათა გადამოწმდეს, რომ ისინი კვლავ შეიძლება გამოყენებული იქნას განხორციელებულ აქტივობებთან მიმართებაში. გადასინჯვას განახორციელებს კონტრაქტორი და ინჟინერი. | | | | | ნაწილები რეგულარულად უნდა იყოს განხილული უფრო მეტი სიხშირით ისეთი ინციდენტის შემდეგ, რომელიც შეტყობინებას ექვემდებარება. | |
| 1.9 | <u>მონიტორინგი (საოპერაციო ფაზაზე)</u><br>1) SEMP გეგმების შემუშავება ESIA/EMP მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:<br>- ნარჩენების მართვის გეგმა<br>- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა<br>- ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა<br>- ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა<br>- OCHS გეგმა | გაზომვადი კომპონენტებისთვისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის ვერიფიკაცია | EBRD PR1 | 1) კონტრაქტორი<br>2) RD (გარეშე მხარდაჭერით, მაგ. ექსპლუატაციის კონტრაქტორი) | 1) ოპერაციების დაწყებამდე შემუშავებული მართვის გეგმები (დეფექტებზე ვალდებულების პერიოდის დაწყებამდე)<br>2) ოპერირების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | 1) მართვისა და მონიტორინგის გეგმები შემუშავებულია<br>2) მონიტორინგის გეგმები ეფექტიანად განხორციელდა და EBRD- ს წარედგინა მონიტორინგის ანგარიშები | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა<br>- დაღვრაზე რეაგირების გეგმა<br>- ადგილობრივი ვითარების მართვის გეგმა (ადგილობრივი შესყიდვები და ადგილობრივი დასაქმება)<br>- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (საოპერაციო ფაზისთვის განახლება)<br>- ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა<br>აღნიშნული გეგმები ასევე უნდა მოიცავდეს მონიტორინგის საჭიროებებს (მონიტორინგის სიხშირე განსაზღვრულია ESIA-ს მიხედვით).<br>2) საოპერაციო SEMP-ებისა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება ESIA- ში განსაზღვრული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ზემოქმედების მონიტორინგის მიზნით (განსაკუთრებით გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში). მონიტორინგის საქმიანობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი აქტივობებით:<br>- ატმოსფერული ჰაერის ხარისხი (PM10, PM2.5, CO)<br>- ხმაურის დონეები დღის და ღამის საათების განმავლობაში<br>- ვიბრაციის დონეები დღის და ღამის საათების განმავლობაში<br>- ზედაპირული წყლის ხარისხი (სიმღვრივე, pH, გამტარიანობა, ნახშირწყალბადების საერთო შემცველობა ნავთობში, ქიმიურ ჟანგბადზე მოთხოვნა)<br>- მცენარეულობა<br>- გარეული ცხოველები<br>- ნარჩენები | | | | (იხ. EBRD- ის სტანდარტული ცხრილი საგზაო პროექტების მონიტორინგისთვის) | | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა | | | | | | |
| PR2 | სამუშაო ძალა და შრომის პირობები | | | | | | |
| 2.1 | <u>ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა</u><br>პროექტის HR პოლიტიკის მომზადება და განხორციელება. HR დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა საკითხს, რომლებიც შეეხება დასაქმებულთა მინიმალურ ანაზღაურებას, სამუშაო საათებს, ანაზღაურებულ ზეგანაკვეთურ სამუშაოს, იძულებით და ბავშვთა შრომას, თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, დასაქმებულთა საჩივრების განხილვის მექანიზმს, სამუშაო პირობებს, მუშაკთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, და კოლექტიურ მოლაპარაკებები. ადამიანური რესურსების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ქცევის კოდექსს.<br>ადამიანური რესურსების პოლიტიკა ასევე ქვეკონტრაქტორებმა უნდა მიიღონ. მათ უნდა აცნობონ თავიანთ თანამშრომლებს, და არა-თანამშრომელ მუშაკებს მათი უფლებების და ვალდებულებების შესახებ . კონტრაქტორებმა და ქვეკონტრაქტორებმა უნდა განსაზღვრონ საკონტაქტო პირი სამუშაო ძალასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. | ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა.<br>დამქირავებლის-მუშაკთა ურთიერთობების გაუმჯობესება | ეროვნული კანონმდებლობა,<br>ILO-ს კონვენციები<br>EBRD PR2 | კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს და განახორციელოს ადამიანური რესურსების პოლიტიკა და ქვეკონტრაქტორებმა უნდა მიიღონ და შეასრულონ ეს პოლიტიკა | პოლიტიკა ხელმოწერილია პერსონალის დაქირავების დაწყებამდე.<br>უნდა განხორციელდეს პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | ადამიანური რესურსების პოლიტიკა შემუშავებულია და მიწოდებულია ქვეკონტრაქტორებისთვის.<br>ადამიანური რესურსების პოლიტიკა ეფექტურად ხორციელდება. | |
| 2.2 | <u>სამუშაო ძალის და სამუშაო პირობების მართვის გეგმა</u><br>უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სამუშაო ძალისა და სამუშაო პირობების მართვის გეგმა.<br>ქვეკონტრაქტორების და ძირითადი მასალების მიმწოდებლების კონტრაქტებში ასახული უნდა იყოს იძულებითი შრომის/ბავშვის შრომის ამკრძალველი დებულებები. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ან საკითხების რეგულარული მონიტორინგი. | კანონის მოთხოვნების შესრულება და დასაქმებულთა უფლებების დაცვა. | ILO-ს კონვენციები<br>EBRD PR2 | კონტრაქტორი<br>(ინჟინერმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი) | უნდა შემუშავდეს პერსონალის დაქირავების დაწყებამდე.<br>უნდა განხორციელდეს პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | გეგმა შემუშავებულია.<br>გეგმა ეფექტურად ხორციელდება.<br>მონიტორინგის ჩანაწერები. | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უნდა განახორციელოს კონტრაქტორის დაკონტრაქტების ქსელებთან დაკავშირებული სამუშაო ძალის რისკების შეფასება. | | | | | | |
| 2.3 | <u>ადგილობრივი სამუშაო ძალა</u><br>1) ჩართეთ HR პოლიტიკაში დებულება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენების გაზრდას (მაგ. სამუშაო ძალის დაქირავება მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან).<br>ადგილობრივი ვითარების მართვის გეგმაში ჩართული უნდა იყოს კონკრეტულ ღონისძიებები (მაგ., სამუშაო ადგილების შესახებ განცხადებების გამოქვეყნება ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივი სამუშაო ძალის წახალისება და მოზიდვა დასასაქმებლად, და ადგილობრივი სამუშაო ძალის დაქირავებისთვის პრიორიტეტულობის მინიჭება, როდესაც ეს გონივრული და პრაქტიკულია, და შესაბამისი ტრენინგ პროგრამების განხორციელება), და ადგილობრივი სამუშაო ძალის დაქირავების მონიტორინგი უნდა იყოს გათვალისწინებული. | ადგილობრივი ეკონომიკური სარგებლის გაზრდა.<br>ადგილობრივ თემებთან ურთიერთობების გაუმჯობესება | ეროვნული კანონმდებლობა, ILO-ს კონვენციები, EBRD PR2 | 1) კონტრაქტორი | პერსონალის დაქირავების დაწყებამდე.<br>უნდა განხორციელდეს პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | 1) HR პოლიტიკა და გეგმა შემუშავებულია, და მასში ასახულია ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებასთან დაკავშირებული ასპექტები.<br>ანგარიშგება ადგილობრივი სამუშაო ძალის დაქირავების თაობაზე გენდერული პოლიტიკის გათვალისწინებით | |
| 2.4 | <u>სამშენებლო ბანაკი სამუშაო ძალისთვის</u><br>კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის მიერ უზრუნველყოფილი ნებისმიერი დროებითი საცხოვრებელი ობიექტების შემთხვევაში (სამშენებლო ბანაკი ან კერძო საცხოვრებელი) უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ საცხოვრებლის პირობები აკმაყოფილებს IFC/EBRD-ს მუშაკის განსახლების სახელმძღვანელო მითითებების მოთხოვნებს. | შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შეთავაზება სამუშაო ძალისთვის | ეროვნული კანონმდებლობა EBRD PR2 | კონტრაქტორი | სამშენებლო ბანაკის მშენებლობის დაწყებამდე. (წინასამშენებლო ეტაპზე) მშენებლობის დაწყებამდე | გეგმა და პროექტი შემუშავებულია.<br>საცხოვრებელი ბანაკი დაიგეგმა EBRD-ის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.5 | <u>დასაქმებულთა საჩივრების განხილვის მექანიზმი</u><br>დასაქმებულთა საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმის დანერგვა და ყველა მუშაკისთვის საჩივრების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.<br>უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ ამ მექანიზმის შესახებ ინფორმაცია არა-თანამშრომელ მუშაკებსაც მიეწოდებათ. | შრომით დავებთან დაკავშირებული რისკების შემცირება | EBRD PR2 | კონტრაქტორი | პროექტის სამშენებლო და წინასამშენებლო ეტაპზე. | საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმი შეიქმნა და ეფექტურად გამოიყენება, და მის შესახებ ინფორმაცია დასაქმებულებს მიეწოდა. | |
| 2.6 | <u>დამოუკიდებელი აუდიტი</u><br>სამუშაო ძალის აუდიტის ჩატარება, რათა დადასტურდეს, რომ კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორების შრომის მართვის პრაქტიკა შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. | შრომითი რისკების შემცირება | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR2 | ინჟინერი | სამუშაო ძალის აუდიტი ორჯერ უნდა ჩატარდეს: როდესაც ძირითადი სამუშაო ძალის მობილიზაცია მოხდება, და პიკურ პერიოდში (დასაქმებულთა რაოდენობის თვალსაზრისით) | სამუშაო ძალის აუდიტის შედეგები | |
| PR3 | რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და დაბინძურების პრევენციის კონტროლი | | | | | | |
| 3.1 | - წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილება | წყლის ხარისხის შენარჩუნება | EBRD PR3 | კონტრაქტორი | პროექტის სამშენებლო და წინასამშენებლო ეტაპზე. | წყლის ხარისხის და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგები | |
| PR4 | ჯამრთელობა და უსაფრთხოება | | | | | | |
| 4.1 | <u>საგზაო უსაფრთხოება და გვირაბების უსაფრთხოება</u><br>უდა ჩატარდეს საგზაო უსაფრთხოების ინსპექციის (RSI) ლოტი 1-ის გვირაბთან დაკავშირებით, როდესაც იგი ექსპლუატაციაში შევა, საგზაო უსაფრთხოების აუდიტის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების | ავტოსაგზაო შემთხვევების რისკის შემცირება და საგზაო | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR4 | RD | ექსპლუატაციის დაწყებამდე | RSI დასრულებულია და დაბალი ღირებულების და რემედიაციაზე | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებით, და საჭიროების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმები დაბალი ღირებულების და რემედიაციაზე მიმართული საგზაო უსაფრთხოების ზომების გასატარებლად. | უსაფრთხოების გაუმჯობესება | დირექტივა 2004/54/EC | | | მიმართული საგზაო უსაფრთხოების ზომები შემუშავებულია | |
| 4.2 | <u>უსაფრთხოების პერსონალი</u><br>1) უსაფრთხოების ყველა პერსონალის შემოწმების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იენას, რომ მათ შესაბამისი ლიცენზირება გააჩნიათ.<br>2) ყველა უსაფრთხოების კადრების მომზადება უნდა მოხდეს უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ნებაყოფლობითი პრინციპების თაობაზე (VPSHR), როგორც სამუშაოს დაწყებამდე ინსტრუქტაჟის ნაწილი. | უსაფრთხოების პერსონალსა და ადგილობრივი თემებს შორის კონფლიქტის პრევენცია.<br>უსაფრთხოების პერსონალის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია | EBRD PR4 და PR2 | 1)RD<br>2) კონტრაქტორი | 1)სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (წინასამშენებლო)<br>2) მშენებლობის ეტაპზე | 1) ლიცენზიების ასლები<br>2) უსაფრთხოების პერსონალის ტრენინგის შესახებ ჩანაწერები | |
| PR5 | მიწის შესყიდვა, არანებაყოფლობითი განსახლება და ეკონომიკური განსახლება | | | | | | |
| 5.1 | <u>მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმა (LARP)</u><br>1) ლოტი 1-ის LARP-ის შემუშავება და გასაჯაროება ამ ლოტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.<br>2) იმის უზრუნველყოფა, რომ ლოტი 1-ის LARP-ი ხორციელდება შესაბამისი მონაკვეთების მიხედვით, და განხორციელების მონიტორინგი მიმდინარეობს LARP-ის დასრულების აუდიტის მეშვეობით (მონაკვეთების მიხედვით), სანამ კონტრაქტორს წვდომა ექნება სამშენებლო უბანზე. მონაკვეთზე წვდომა არ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ამ მონაკვეთისთვის მთლიანად არ განხორციელდა, და არის დადასტურებული LARP-ის დასრულების აუდიტის მეშვეობით. | კანონმდებლობასთან შესაბამისობა.<br>ურთიერთობები ადგილობრივ თემებთან. | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR5 | RD | 1) პროექტის სამშენებლო და წინასამშენებლო ეტაპზე.<br>2) წინასამშენებლო ეტაპზე დაწყებამდე, მონაკვეთების მიხედვით<br>3) განსახლებამდე, და განსახლების შემდეგ (ხანგრძლივობა მონიტორინგის | 1) LARP-ი დასრულებულია და ეფექტურად განხორციელდა<br>2) LARP-თან შესაბამისობის დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ჩატარდა დასრულების აუდიტები (თითო აუდიტი ყოველ მონაკვეთზე)<br>3) საარსებო წყაროების აღდგენის | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3) იმის უზრუნველყოფა, რომ საარსებო წყაროების აღდგენის ღონისძიებები ხორციელდება (გრძელვადიანი). | | | | შედეგების მიხედვით) | ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების უზრუნველყოფა | |
| 5.2 | <u>მიწის შესყიდვა სანაყრაოებისთვის, სამშენებლო ბანაკებისთვის, ბეტონის დამამზადებელი მოედნებისა და ასფალტის ქარხნებისთვის</u><br>ბანაკისთვის ან ნარჩენების დროებით განთავსების მიზნით ტერიტორიის გამოყენებით გამოწვეული ნებისმიერი დროებითი ზემოქმედება დარეგულირდება კონტრაქტორსა და მიწის მესაკუთრეს შორის გაფორმებული კერძო ხელშეკრულებებით. ამ სფეროზე დაინტერესებული გამყიდველის / მყიდველის პრინციპი ვრცელდება. | კანონმდებლობასთან შესაბამისობა.<br>ურთიერთობები ადგილობრივ თემებთან. | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR5 | კონტრაქტორი | სანაყაროებით სარგებლობის დაწყებამდე | იმის დამადასტურებელი მტკიცებულებების უზრუნველყოფა, რომ დაინტერესებული გამყიდველის / მყიდველის პრინციპი დაცული იქნა | |
| 5.3 | <u>LARP-ის განხორციელების რეგულარული მონიტორინგი</u><br>LARP- ის სწორად შესრულების მონიტორინგის რეგულარული დამოუკიდებელი აუდიტი ხორციელდება დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ | შესაბამისობა LARP-ის, ეროვნული კანონმდებლობისა და EBRD-ის მოთხოვნებთან | EBRD PR5 | RD | LARP-ის მოთხოვნების შესაბამისად | LARP-თან შესაბამისობის დამოუკიდებელი კონსულტანტი დაინიშნა და ToR შეთანხმებული იქნა EBRD- სთან.<br>მონიტორინგის ანგარიშები გაზიარებულია EBRD- სთან | |
| 5.4 | <u>განხორციელების შემდგომი შეფასება</u><br>პროექტის დასასრულების შემდეგ განხორციელების შემდგომი შეფასების ანგარიშის მომზადება და EBRD-ისთვის დასამტკიცებლად წარდგენა:<br>განხორციელების შემდგომი შეფასება ჩატარდება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა სამშენებლო სამუშაოების სრულად განხორციელების შემდეგ (ან | LARP-ის განხორციელების მონიტორინგის შედეგები | EBRD PR5 | RD | პროექტის დასასრულების შემდეგ | ToR შეთანხმებული იქნა EBRD-სთან.<br>EBRD-სთვის დასამტკიცებლად წარედგინა დასრულების აუდიტის ანგარიში | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | როდესაც საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა სრულად განხორციელდება). | | | | | | |
| PR6 | ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები | | | | | | |
| 6.1 | <u>გაზაფხულის განმავლობაში ჩასატარებელი კვლევები</u><br>ESIA-ში იდენტიფიცირებული იქნა პროექტით დაგეგმილი სამუშაოების დაწყებამდე დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება. ქვემოთ და EMP- ში მოყვანილი წინასწარი კვლევების გარდა, გაზაფხულის პერიოდში ასევე ჩატარდება ბიომრავალფეროვნების საველე კვლევები, როგორც ESIA- ს საბაზისო კვლევის ნაწილი, რათა სეზონური ვარიაცია იქნას შესწავლილი. | ბიომრავალფეროვნების საბაზისო კვლევა სეზონური ვარიაციის გასათვალისწინებლად | EBRD PR6 | RD | 2019 წლის გაზაფხული | ToR შეთანხმებული იქნა EBRD-სთან.<br>EBRD-ს წარედგინა ანგარიში მისი ESIA პაკეტში ინტეგრირებისთვის | |
| 6.2 | <u>ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა **(BAP)** და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და შეფასების გეგმა **(BMEP)**</u><br>1) დეტალური BAP-ი უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს, მათ შორის (საჭიროების შემთხვევაში) სახეობების მიხედვით BAP-ები, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ არა აქვს ადგილი „წმინდა დანაკარგს", და სადაც ეს მიესადაგება, მიღწეულია "კონსერვაციის თვალსაზრისით წმინდა სარგებელი" შესაბამისი PBF-სა და CH-ისთვის. BAP უნდა შემუშავდეს დაინტერესებული მხარეებთან, მათ შორის, მთავრობასთან, გარე ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო კონსერვაციის სფეროს ორგანიზაციებთან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან კონსულტაციების გზით.<br>2) 2) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში (BMEP) განსაზღვრული იქნება მშენებლობისა და პირველი წლის ოპერაციების ეტაპზე განსახორციელებელი კონკრეტული | ბიომრავალფეროვნების დაკარგვის თავიდან აცილება, კრიტიკული ჰაბიტატების დაცვა (CH) და პრიორიტეტული ბიომრავალფეროვნების ფუნქციების (PBF) შენარჩუნება | EBRD PR6 | ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა: RD (საჭიროების შემთხვევაში, კონსულტანტის დახმარებით).<br>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (BMEP): ინჟინერი | ორივე გეგმა მშენებლობის დაწყებამდე დამტკიცდა.<br>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (BMEP) და BAP-ი განხორციელდება პროექტს მთელი განხორციელების პერიოდის განმავლობაში, რათა მიღწეული იქნას წმინდა დანაკარგების თავიდან აცილებაზე მიმართული | 1) BAP შემუშავდა და განხორციელდა<br>2)ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (BMEP) შემუშავდა და განხორციელდა | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ღონისძიებები, BAP- ში განსაზღვრული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. | | | | გრძელვადიანი მიზანი, და ეს გეგმები საჭიროების შესაბამისად განახლდება | | |
| PR7 | მკვიდრი მოსახლეობა | | | | | | |
| 7.1 | PR7 არ მიესადაგება რადგან საპროექტო ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლეობა არ არის წარმოდგენილი. | | | | | | |
| PR8 | კულტურული მემკვიდრეობა | | | | | | |
| 8.1 | <u>კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შემცირებაზე მიმართული ზომები</u><br>კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შემცირებაზე მიმართული ზომები დაგეგმილია და ასახულია EMP-ებში. | გამოვლენილ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკის შემცირება | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR8 | კონტრაქტორი | პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | შერბილებაზე მიმართული ზომები ეფექტურად განხორციელდა | |
| 8.2 | <u>არქეოლოგიური აღმოჩენების პროცედურა</u><br>არქეოლოგიური აღმოჩენების პროცედურის შემუშავება და განხორციელება EIA-ში და EMP-ებში აღწერილი მოთხოვნების შესაბამისად (სამშენებლო უბანზე მიწის ამოღების სამუშაოების ჩატარებისას ადგილზე მონიტორინგის ჩათვლით). | კულტურულ მემკვიდრეობის დაცვა | ეროვნული კანონმდებლობა<br>EBRD PR8 | კონტრაქტორი | პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | პროცედურა მიღებულია მშენებლობის დაწყებამდე.<br>პროცედურა ეფექტურად ხორციელდება არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში. | |
| PR 10 | ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა | | | | | | |
| 10.1 | <u>დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა</u><br>1) ადეკვატური კომპეტენციის მქონე კომუნიკაციის სპეციალისტის დანიშვნა , რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე. | ინფორმაციის გავრცელებული და უწყვეტი კომუნიკაცია ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ | EBRD PR10 | RD | 1)რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე<br>2) პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | 1) დანიშნულია SEP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სრულად განხორციელება (SEP), გასაჯაროების მოთხოვნების ჩათვლით, და მისი პერიოდული, ან საჭიროების შემთხვევაში განახლების უზრუნველყოფა. | დაინტერესებულ მხარეებთან. | | | | 2)SEP-ი სრულად განხორციელდა | |
| 10.2 | <u>საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრები (CLO)</u> საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრების დანიშვნა, რომლებიც SEP-ის განხორციელებაზე იქნებიან პასუხისმგებელი პროექტის სამშენებლო უბნის დონეზე | ადგილობრივ თემებთან გაუმჯობესებული ურთიერთობები | EBRD PR10 | კონტრაქტორი | მშენებლობის დაწყებამდე | რეგულარული ანგარიშგება მიმდინარეობს SEP-ის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ | |
| 10.3 | <u>თემების საჩივრების განხილვის მექანიზმი</u> პროექტთან დაკავშირებული პრობლემების, კერძოდ კი, კონკრეტულად მიწის შეძენისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მექანიზმების ჩამოყალიბება და მის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება. ასევე, უნდა ჩამოყალიბდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის საჩივარზე რეაგირების შედეგების თაობაზე ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი. | ადგილობრივ თემებთან გაუმჯობესებული ურთიერთობები . იმის უზრუნველყოფა, რომ საჩივრები სათანადოდ იქნება განხილული | EBRD PR5 და PR10 EBRD-ის სახელმძღვანელო მითითებები საჩივრების განხილვის თაობაზე, EBRD-ის სახელმძღვანელო მითითებები განსახლების და კარგი პრაქტიკის შესახებ | RD და კონტრაქტორი | პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | საჩივრების განხილვის მექანიზმი ეფექტურად დაინერგა და ინფორმაცია გასაჯაროვდა | |
| 10.4 | <u>დავების განმხილველი კომიტეტი და კომისია</u> მხარი დაუჭიროს არსებული კომიტეტის საქმიანობას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროექტის განხორციელების პერიოდის განმავლობაში მიღებული საჩივრების სათანადოდ განხილვა და გადაწყვეტა. | ადგილობრივ თემებთან გაუმჯობესებული ურთიერთობები. | ეროვნული კანონმდებლობა EBRD-ის სახელმძღვანე | RD | პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში | კომიტეტი და კომისია თავის საქმიანობას განახორციელებს პროექტის მთელი | |

| No. | ქმედება | გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი) | შესაბამისობა ქვემოთ მითითებულთან | რესურსები, საინვესტიციო საჭიროებები, პასუხისმგებლობები | განრიგი | მიზნები და წარმატებული განხორციელების შეფასების კრიტერიუმები | განხორციელების სტატუსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებული საჩივრების სათანადოდ განხილვა და გადაწყვეტა. | ლო მითითებები საჩივრების განხილვის თაობაზე | | | ხანგრძლივობის განმავლობაში.<br>მშენებლობის პროცესში: მიღებული და მოგვარებული საჩივრების შესახებ კვარტალური ანგარიშები.<br>ოპერაციების ეტაპზე: წლიური ანგარიშები მიღებული და მოგვარებული საჩივრების შესახებ | |

თარგმნის ბიურო

REGISTRATION № 0327/11-19

DATE 11.10.2019

CERTIFIED BY

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia